საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გორდეზიანი ლევან რისმაგის ძე

გორდეზიანი ლევან რისმაგის ძე (დ. 1. X1.1962, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2004). 1984 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1987–2000 მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობებზე. 1995–2000 იყო თსუ-ის კულტ. ისტორიის კათედრის დოცენტი, 2001–06 – ამავე კათედრის პროფესორი, 2005–06 - თსუ-ის რექტორის მოადგილე. 2006-იდან არის თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ტის სრული პროფესორი. მისი კვლევის ძირითადი მიმართულებებია ძვ. მსოფ. ისტორია, ბერძნ. და ძველაღმოსავლური ისტორიის წყაროთმცოდნეობა, მითოლოგია. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. ექვსი მონოგრაფია.